

შპს „ნიკე 2009“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2022წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში, გორის საგადასახადო ინსპექცია ხაშურის მუნიციპალიტეტი 13,02,2008წ ს/ნ 243916615 კომპანიის იურიდიული მისამართია: ქ. ხაშური იმერეთის ქ. #143, კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია გიორგი ღონდაძე, საქართველოს მოქალაქე, რომელიც აგრეთვე არის კომპანიის მოქმედი დირექტორი პ/ნ 577001006994. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საცალო ვაჭრობა რკინა-კაველით, საღებავებით და მინით სპეციალიზებულ მაღაზიებში, საბითუმო ვაჭრობა სამშენებლო მასალებით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზისზე მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები მომსახურებიდან/ საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს მომსახურება/საქონელი მიეწოდება და საქონელზე საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იქნა გაწეული.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისათვის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა (მათ შორისაა კომერციული ბანკები, სადაზღვევო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და სხვა), ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი, ე.წ. „ესტონური“, მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება).

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალურ აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შემენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თ უმასზე ნაკლებია, მინიმალურისა იჯაროგადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის

დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულებაა მისი აღება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება და რიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტურისა უპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სავაჭრო შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არაფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესამაბისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

3. განუსაზღვრელობის შეფასებისთვის გამოყენებული ძირითადი წყაროები

გასამრჯელოები ხანგრძლივი მუშაობის სტაჟისათვის

ხანგრძლივი მუშაობის სტაჟის გასამრჯელოების (განმარტებული ამე-19 შე-ნიშვნაში) ვალდებულების განსაზღვრისას საწარმოს ხელმძღვანელობამ წინასწარ უნდა შეაფასოს ხელფასის ზრდა მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში, დისკონტირების განაკვეთი მომდევნო ხუთი წლისთვის, რომელიც გამოიყენება მიმდინარე

ღირებულების გაანგარიშებისათვის და ასევე მომუშავეთა რაოდენობა, რომლებიც, სავარაუდოდ, საწარმოს დატოვებენ გასამრჯელოების მიღებამდე.

4. დივიდენდების გადახდის შეზღუდვა

• ბანკის სესხებისა და ბანკის ოვერდრაფტების ხელშეკრულებების პირობების მიხედვით დაუშვებელია ისეთი ოდენობის დივიდენდების გადახდა, რაც გაუნაწილებელი მოგების ნაშთს შეამცირებს ბანკის სესხისა და ბანკის ოვერდრაფტის გადასახდელი ნაშთების ჯამზე ნაკლებ სიდიდემდე.

5. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2022	31.12.2021
ნაღდი ფული საღაროში	180812.9	97133.71
ფული საბანკო ანგარიშებზე	8419.4	14930.47
სულ ჯამი	189232.3	112064.18

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს როგორც არასარიცხო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკი სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს არის სანდო და ცნობილი საკრედიტო დაწესებულება.

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2022	31.12.2021
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან 1	945634.79	750817.47
არარეზიდენტ. მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	8042.69	288356.2
მოთხოვნები ბინების მიწოდებიდან	288356.2	
სულ ჯამი	1242033.68	1039173.67

7. მარაგები

მარაგების ნაშთები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2022	31.12.2021
სასაძენლო-მასშტაბური მარაგი	2091690	2118282.88
სულ ჯამი	2091690	2118282.88

8. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	მიწის ნაკვეთები	მანქანა- დანადგარები	საოფისე და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	შენობა	სხვა აქტივები	სულ ღირებულება
ბალანსი 01 იანვარი 2021	25000	382515	47526	42582	280036	185828	963487
დამატება	362678	107856	407		84725		
გასვლა		678					
ბალანსი 31 დეკემბერი 2022	387678	489693	47933	42582	364761	185828	1518475

ცვეთა

ბალანსი 01 იანვარი 2021	193063	41236	33457	51339	182043	501138
წლის დარიცხული ცვეთა	35426	1492	6083	20081	675	63757
გასვლა						
ბალანსი 31 დეკემბერი 2022	228332	42728	39540	71420	182718	564738
ნარჩენი ღირებულება						
01.იანვარი 2021	189452	6290	9125	228697	3782.6	437347
31 დეკემბერი 2022წ	261364	5205	3042	293341	3107.6	566060

9. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2022	31.12.2021
მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	625399.73	389696.56
არარეზიდენტი მომწ. და მომს. წარმოქმნილი ვალდებულებები	12986.05	24868.52
მშენებლობის ავანსი	148524.79	141180.4
სულ ჯამი	786911	555745

10. სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2022	31.12.2021
გადასახდელი ხელფასები	478152.49	425123.95
<i>სულ ჯამი</i>	478152.49	425123.95

11. სასესხო ვალდებულებები

მიმდინარე სასესხო ვალდებულებები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2022	31.12.2021
მოკლევადიანი სესხები	2270028.26	1908304.47
<i>სულ ჯამი</i>	2270028.26	1908304.47

12. სხვა ვალდებულებები

	31.12.2022	31.12.2021
სხვა ვალდებულებები	44676.3	22310.97
<i>სულ ჯამი</i>	44676.3	22310.97

13. კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2022	31.12.2021
საწესდებო კაპიტალი შპს-ში	0	200
<i>სულ ჯამი</i>	0	200

14. გაუნაწილებელი მოგება/ზარალი

	31.12.2022	31.12.2021
მოგება/ ზარალი		
გაუნაწილებელი მოგება	1322108.15	1253066.85
დაუფარავი ზარალი		
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი		
<i>სულ ჯამი</i>	1322108.15	1253066.85

15. საქონლიდან გაყიდვები

	31.12.2022	31.12.2021
საოპერაციო შემოსავლები	8491110.24	8901204.61
სულ ჯამი	8491110	8901205

16. რეალიზებული პროდუქციის თვითირებულება

	31.12.2022	31.12.2021
გაყიდვების თვითღირებულება	7343181.79	7646188.29
7343182	7646188	

17. სხვა შემოსავალი

	31.12.2022	31.12.2021
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	35546.02	53928.82
სულ ჯამი	35546	53929

18. დასაქმებულთა ანაზრაულება

შრომის ანაზღაურება	323876.7	298776.92
სულ ჯამი	323877	298777

19. ცვეთა-ამორტიზაცია

	31.12.2022	31.12.2021
ცვეთა და ამორტიზაცია	63757.38	60580.14
სულ ჯამი	63757	60580

20. საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო ხარჯი 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2022	31.12.2021
საპროცენტო ხარჯები	253660	216104
სულ ჯამი	253660	216104

21. იჯარის ხარჯი

	31.12.2022	31.12.2021
საიჯარო ძირი	91313.56	126498.29
სულ ჯამი	91314	126498

22. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2022	31.12.2021
მიმდინარე საექსპლუატაციო რემონტის ხარჯი	73577	69555.41
სხვა საოპერაციო ხარჯები	14833.38	7523.8
სოციალური დანარიცხები	1020.4	6590.26
საოფისო ხარჯი	6419.17	1399.58
სამეურნეო ხარჯი	1887.67	2735.39
ხანგრძლივობის დაზღვევა	3840.46	2068.07
საწვავის ხარჯი	85422.9	40265.59
მივლინების ხარჯი	64062.82	71389.99
საკონსულტაციო ხარჯები	11868.64	8823.72
სხვა საგადასახადო ხარჯი	9711.48	6782.28
ბანკის მომსახურების ხარჯი	24149.87	27703.04
სხვა საერთო ხარჯი	76038.78	87431.4
სულ ჯამი	372833	332269

23. წმინდა შემოსულობა/დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან

წმინდა შემოსულობა/დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2022	31.12.2021
დადებითი საკურსო სხვაობა	7971	5104.92
უარყოფითი საკურსო სხვაობა	-11532.96	-7551.17
სულ ჯამი	-3562	-2446

24. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი

	31.12.2022	31.12.2021
სსკ-თ გამოუშვითაჲი ხარჯი	1013	12307.87
სულ ჯამი	1013	12308

25. სანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები


არსებითი ხასიათის მოვლენები და გარემოებები ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომ პერიოდში არ ფიქსირდება.

26. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა 2023 წლის 27 სექტემბერს.

დირექტორი:

გიორგი ღონღაძე:



შპს "ნიკე 2009" ს/ნ 243916615

ფინანსური მდგომარეობა 2022წ

		საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2022	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2021
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	5	189 032	112 064
სავაჭრო მოთხოვნები	6	1 242 034	1 039 174
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	0		
მარაგები	7	2 091 690	2 118 283
- მზა პროდუქცია			
- სხვა			
საინვესტიციო ქონება			
სხვა მიმდინარე აქტივები	0		
ბიოლოგიური აქტივები			
- თვითღირებულების მოდელით			
- გადაფასების მოდელით			
გუდვილი			
სხვა არამატერიალური აქტივები	0		
ძირითადი საშუალებები	8	1 386 620	895 231
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში			
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში			
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
სულ აქტივები		4 909 376	4 164 752

ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები	9	786 911	555 745
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	10	484 152	425 124
საგადასახადო ვალდებულებები			
გამოუმუშავებელი შემოსავალი			
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	11	2 270 028	1 908 304
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები			
მიღებული გრანტები			
სხვა ვალდებულებები	12	46 176	22 311
სულ ვალდებულებები		3 587 268	2 911 485
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (ძმს-ს შემთხვევაში კაპიტალი, კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	13	-	200
საემისიო შემოსავალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			

გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	14	1 322 108	1 253 067
გადაფასების რეზერვი			
სხვა რეზერვები	0		
სულ საკუთარი კაპიტალი		1 322 108	1 253 267
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		4 909 376	4 164 752

შპს "ნიკე 2009"-ის დირექტორი: გ. ღონაძე

მთავარი ბუღალტერი: ნ. პაპუაშვილი



შპს "ნიკე 2009" ს/ნ 243916615

საქმიანობის შედეგები 2022წ

ნეტო ამონაგები			8 901 205
საქონლის გაყიდვიდან	15	8 491 110	8 901 205
მომსახურების გაწევიდან			
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
სხვა			

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	16	(7 343 182)	(7 646 188)
საწყისი მარაგები			
მარაგების შესყიდვა			
გადამუშავების დანახარჯები			
საბოლოო მარაგები			
საერთო მოგება		1 147 928	1 255 016

სხვა შემოსავალი	17	35 546	53 929
დასაქმებულთა ანაზღაურება	18	(323 877)	(298 777)
ცვეთა და ამორტიზაცია	19	(63 757)	(60 580)
საპროცენტო შემოსავალი:			
საპროცენტო ხარჯი :	20	(253 660)	(216 104)
იჯარის ხარჯი	21	(91 314)	(126 498)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	22	(372 833)	(332 269)
სულ საოპერაციო ხარჯები		(1 069 895)	(980 299)

საოპერაციო მოგება		78 034	274 717
-------------------	--	--------	---------

გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:			
ფინანსური აქტივები			
მარაგები			
სხვა არაფინანსური აქტივები			

წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	23	(7 971)	(2 446)
---	----	---------	---------

მიღებული დივიდენდები			
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	24	(1 013)	(12 308)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		69 050	259 963
მოგების გადასახადი			
მოგება/(ზარალი)		69 050	259 963

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		69 050	259 963

კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		1 253 067	993 175
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები		(8)	(71)
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		1 322 108	1 253 067

შპს "ნიკე 2009"-ის დირექტორი: გ. ღონლაძე

მთავარი ბუღალტერი: ნ. პაპუაშვილი

შპს "ნიკე 2009" ს/ნ 243916615

საქმიანობის შედეგები 2022წ

წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		568 904	217 131
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		(491 936)	(481 804)
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		76 968	(264 673)
სავალუტო კურსის ეფექტი			
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		112 064	376 737
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		189 032	112 064

შპს "ნიკე 2009"-ის დირექტორი: გ. ღონლაძე

მთავარი ბუღალტერი: ნ. პაპუაშვილი